

თიბისი ბანკი – შპს ბორში

პირველი ფილიალი შიდა ქართლში და 46-ე – საქართველოში

პრესრელიზი

13 ივნისს გორში თიბისი ბანკის ახალი ფილიალი გაიხსნა, რომელიც მოემსახურება შიდა ქართლში მცხოვრებ კერძო პირებსა და რეგიონში მოღვაწე ორგანიზაციებსა და ბიზნეს კომპანიებს. ბანკის წარმომადგენლებთან ერთად ბანკის ფილიალის გახსნას დაესწრნენ ადგილობრივი გუბერნატორი, ხელისუფლებისა და ინტელიგენციის წარმომადგენლები.

თიბისი ბანკის გორის ფილიალი, რომელიც პირველია შიდა ქართლის რეგიონში, ხოლო 46-ე საქართველოს მასშტაბით, იმ ახალი სტანდარტების მიხედვით შეიქმნა, რომელიც თიბისი ბანკის ინოვაციას წარმოადგენს ქართულ საბანკო სექტორში. კერძოდ, ესა არის მსოფლიოში ერთ-ერთი ყველაზე თანამედროვე ტიპის საბანკო ფილიალი, რომელიც მომხმარებელს მომსახურების სრულიად განსხვავებულ ფორმებს სთავაზობს – კლიენტსა და ბანკის თანამშრომელს შორის მოხსნილია ყოველგვარი ბარიერი, კლიენტების მომსახურება მოხდება გახსნილ სივრცეში, სადაც კლიენტი თავისი თვალთ ხედავს მომსახურების პროცესს.

თიბისი ბანკის ახალი ფილიალი პირდაპირ გამოხატავს სლოგანს “ჩემ გვერდით ჩემი ბანკია” – კლიენტი და ბანკის თანამშრომელი გვერდიგვერდ დგანან და ერთად ღებულობენ გადაწყვეტილებას. ასეთი დონის საბანკო ფილიალები დღეისათვის მსოფლიოს მხოლოდ რამდენიმე წამყვან ბანკს აქვს (Deutsche Bank, ABN Amro, City Bank და სხვა).

ასეთი ახალი კონცეფციის ფილიალების შექმნა თიბისი ბანკმა 5 თვის წინათ დაიწყო და დღემდე გახსნილია 12 ახალი ტიპის ფილიალი. წლის ბოლომდე ახალი სტანდარტების მქონე 40 ფილიალი იფუნქციონირებს.

გორის ფილიალი მომხმარებელს შესთავაზებს სრულ საბანკო მომსახურებას, რაც გულისხმობს ბანკის ყველა სახის პროდუქტისა და სერვისის მიწოდებას. ამასთან, ფილიალი მოემსახურება როგორც კერძო პირებს, ისე სხვადასხვა ორგანიზაციებსა და კომერციული კომპანიებს.